**ხელშეკრულება**
**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 1.01**

ქ. თბილისი „21" „09" 2015 წ.

1. **ხელშეკრულების მხარეები**

1.1. ერთის მხრივ, შპს „დელტა ინტერნეიშენალ" (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის ოთარ ჩიტეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა" (შემდგომში–მიმწოდებელი), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის უჩა ძოძუაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. **ხელშეკრულების ობიექტი და საგანი**

2.1. ხელშეკრულების ობიექტი და საგანია დანართი N1-ის სახით მოცემული **Mercedes Sprinter 515 CDI 4x2-** ბაზაზე საინკასაციო მანქანის პროტოტიპის შექმნა, შეჯავშნის მომსახურების შესყიდვა (შემდგომში-მომსახურება) (CPV50600000) უსაფრთხოებისა და თავდაცვის მასალების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.

2.2. მომსახურების განხორციელდება დანართი N2-ის სახით მოცემული ნახაზის შესაბამისად.

2.3. ხელშეკრულების დანართი №1 და დანართი N2 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.4. მიმწოდებელი საინკასაციო მანქანის პროტოტიპის დამზადებას მოახდენს შემსყიდვლის მიერ მიწოდებული მასალით (შემდგომში მასალა).

2.5. შემსყიდვლის მიერ მასალის მიწოდება დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. **ხელშეკრულების ჯამური ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს 62 886.20 (სამოცდაორი ათას რვაას ოთხმოცდაექვსი ლარი და ოცი თეთრი) ლარს, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

3.2. ერთი ერთეული საინკასაციო მანქანის პროტოტიპის დამზადების ღირებულება შეადგენს 62 886.20 (სამოცდაორი ათას რვაას ოთხმოცდაექვსი ლარი და ოცი თეთრი) ლარს.

4. **მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი**

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს 2015 წლის 10 ნოემბრისა.

4.2. მიმწოდებელი გადასცემს შემსყიდველს დამზადებულ საინკასაციო მანქანის პროტოტიპს მიმწოდებლის ადგილსამყოფელზე ქ. თბილისი ბოგდან ხმელნიცკის ქ. N 181.

5. **ხელშეკრულების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდვლისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2. შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება მიეცეს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილ პირებს.

## 6. სტანდარტები

6.1. ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული მომსახურების ხარისხი და სტანდარტი უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## 7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

7.1. მხარეები ანგარიშსწორებას ანხორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

7.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის მომენტიდან არა უგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღისა აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის ღირებულება.

7.3. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს წინასწარი ანგარიშსწორება ხელშეკრულების საერთო ღირებულების ოდენობის ფარგლებში (ავანსი), მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის ოდენობის შესაბამისად, მისი წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

7.4. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს და მისი მოქმედების ვადა ხელშეკრულების მოქმედების ვადას არანაკლები 30 დღით უნდა აღემატებოდეს;

7.5. თუ გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება გარანტიის ვადის ამოწურვამდე შესრულდა, გარანტიის (მათ შორის შერულებული ვალდებულების ნაწილში) მოქმედების ვადა შესაძლებელია ვადამდე შეწყდეს ან შემცირდეს, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის ვალდებულების შესრულების დადასტურების შემთხვევაში.

## 8. მხარეების უფლება-მოვალეობანი

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.1.1. შემსყიდველ ორგანიზაციას დათქმულ დროსა და ადგილზე გაუწიოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურება, რომელიც აკმაყოფილებს არსებულ სტანდარტებს.

8.1.2. საქონლის მიწოდებისას წარადგინოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაცია.

8.1.3. მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების (მათ შორის უხარისხოდ, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) შემთხვევაში დაეკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-სა.

8.1.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.1.5. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების დათქმულ ვადაში ანაზღაურება.

8.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

8.2.1. მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების ღირებულება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

8.2.2. მიმწოდებლისგან მიიღოს მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

8.2.3. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს გადაუხადოს პირგასამტეხლო, ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-სა.

8.3. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:

8.3.1. მიმწოდებლისგან ითხოვოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და ადგილზე გაწევა.

8.4. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

8.5. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.6. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

8.7. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.8. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირებს მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

## 9. სუბკონტრაქტორები

9.1. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

9.2. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი უფლება-მოვალეობანი.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

9.4. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

9.5. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## 10. ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

10.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელსაც აქვს წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი და არ არის დაკავშირებული შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ფორს-მაჟორი შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური უბედურებებით და სხვა გარემოებებით.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

## 11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1. შემსყიდველი ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.

11.2. დაევალოს აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების კონტროლი შემსყიდველი ორგანიზაციის შპს „დელტა ინტერნეიშენალის"-ს ლოგისტიკის და შესყიდვების დეპარტამენტის ლოგისტიკოსს ივანე ჯებირაშვილს.

11.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

## 12. სხვა პირობები

12.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

12.2. მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო.

12.3. ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება დაუშვებელია, თუ იმ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

12.4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

12.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.6. მხარეები უფლებამოსილნი არიან შეწყვიტონ აღნიშნული ხელშეკრულება ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

12.7. ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს.

12.8. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათშორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს:

12.8.1. იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა ან/და მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებად გამოიყენება (ამ მოთხოვნის არსებობის პერიოდში);

12.8.2. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულებისაგან (ზიანის არსებობის შემთხვევაში).

12.9. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.10. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო მეორე ეგზემპლარი – მიმწოდებელს.

## მხარეთა რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| შპს „დელტა ინტერნეიშენალ"<br>მისამართი: ქ.თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, მნათობის ქ., #73<br>საიდენტიფიკაციო კოდი № 401960614<br>საბანკო რეკვიზიტები:<br>სს „თიბისი ბანკი"<br>საბანკო კოდი TBCBGE 22<br>ანგარიშსწორების ანგარიში №<br>GE78TB7447436040100001 | სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"<br>მისამართი: ქ. თბილსი, მნათობის ქ. #73<br>ტელ./ფაქსი: 2955027<br>საიდენტიფიკაციო კოდი №202297335<br>მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა<br>მიმღების დასახელება-ხაზინის ერთიანი ანგარიში<br>ბანკის კოდი: TRESGE22<br>მიმღების ანგარიში /სახაზინო კოდი:<br>707297065 |
| დირექტორი | გენერალური დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებელი |
| _____ ოთარ ჩიტეიშვილი | _____ ფრა ძოძუაშვილი |

| მომსახურების დასახელება | CPV | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება | მთლიანი ღირებულება |
|---|---|---|---|---|
| Mercedes Sprinter 515 CDI 4x2- ბაზაზე საინკასაციო მანქანის პროტოტიპის შექმნა, შეჯავშნის მომსახურების შესყიდვა. | 50600000 | 1 ერთეული | 62 886.20 | 62 886.20 |
| 62 886.20 (სამოცდაორი ათას რვაას ოთხმოცდაექვსი ლარი და ოცი თეთრი) ლარი | | | | |

**საკიდარის სისტემა**

დამატებითი დამოუკიდებელი საკიდარის დამონტაჟება საბაზო მანქანაზე.

## ეკიპაჟი:

| | |
|---|---|
| წინა კაბინა | 2 |
| უკანა კაბინა | 2 |

## დაცვის დონე:

EN1063 BR6

## წონა:

| | |
|---|---|
| მანქანის საერთო წონა* | 7,120 კგ |
| ცარიელი მანქანის წონა* | 5,120 კგ |
| სასარგებლო დატვირთვა | 2,000 კგ |

## გაბარიტები:

| | |
|---|---|
| სიგრძე* | 6,103 მმ |
| სიმაღლე* | 2,400 მმ |
| სიგანე | 2,426/1990 მმ |
| შასის ბაზა | 3,665 მმ |
| კლირენსი* | 215/173 მმ |
| (Under diff) წინა/ უკანა | |

## გარემო პირობები:

| | |
|---|---|
| ტემპერატურული დიაპაზონი | $-32^0$ to $+55^0$ |

## ხილვადობა:

| | |
|---|---|
| საქარე მინა | 1 |
| კაბინის გვერდითა მინები | 2 |
| ბრონეკაფსულა | 6 |
| სარკეები სამტატო | მარცხნივ და მარჯვნივ |

***დაზუსტდება პირველი პროტოტიპის შექმნის შემდეგ.**

| | |
|---|---|
| წინა კამერა (დღე/ღამე) | 1 |
| უკანა კამერა (დღე/ღამე) | 1 |
| კამერების ჩამწერი მოწყობილობა (2 დღის) | 1 |
| მონიტორი კაბინაში | 1 |
| მონიტორი ბრონეკაფსულაში | 1 |

## გასასვლელები:

| | |
|---|---|
| გვერდითა წინა მარცხენა კარები | 1 |
| გვერდითა უკანა მარჯვენა კარები | 1 |
| სახურავის საავარიო გამოსასვლელი | 1 |

## საცეცხლე წერტილები:

სათოფურები

| | |
|---|---|
| საქარე მინა | 2 |
| კაბინის გვერდითა მინები (მარჯვენა/მარცხენა) | 1/1 |
| ბრონეკაფსულა (მარჯვენა ბორტი/ მარცხენა ბორტი) | 2/2 |

## საკომუნიკაციო სისტემები:

| | |
|---|---|
| რადიოსადგური Motorola-ს სამაგრი კრონშტეინი | 1 |
| Intercome (დინამიკი მძღოლისთვის) | 1 |

## საბუქსირე სისტემა:

| | |
|---|---|
| ჯალამბარი Electric Winch 12000 Lb (კომპლექტი) | 1 |
| წინა ბამპერზე საწევი ყუნწი | 2 |
| უკანა ბამპერზე კაუჭი | 1 |

## კორპუსი:

საბაზო მანქანის ძარაზე უნდა დამონტაჟდეს მონოკოკის ტიპის ჯავშანკაფსულა. აგრეთვე უნდა შეიჯავშნოს საბაზო მანქანის არსებული კაბინა. მანქანის ყველა მინამ უნდა უზრუნველყოს 7.62x51მმ NATO-ს ტყვიებისგან EN1063 BR6-ი დონის დაცვა. მანქანის შეჯავშნამ უნდა უზრუნველყოს წინა, გვერდითა, უკანა და ზედა პროექციებში 7.62x51მმ NATO-ს ტყვიებისგან EN1063 BR6-ი დონის დაცვა. საქარე მინაზე და წინა ფარებზე უნდა დამონტაჟდეს დამცავი ბადეები.

## დასაჯდომი ადგილები:

მძღოლისთვის და მეთაურისთვის განკუთვნილია საბაზო მანქანის კაბინაში არსებული ორი სტანდარტული სავარძელი. დასამონტაჟებელ ჯავშანკაფსულის უკანა კედელზე უნდა განთავსდეს უსაფრთხოების ღვედებით აღჭურვილი ორი სავარძელი.

## კარებები:

საბაზო მანქანის კაბინაზე არსებული მარჯვენა კარები ფიქსირდება (უქმდება) და შემდგომში აღარ გაიღება. ამავდროულად უნდა გაკეთდეს კაბინიდან ბრონეკაფსულაში გადასასვლელი სასრიალო კარები. ბრონეკაფსულის მარჯვენა მხარეს უნდა განთავსდეს შესასვლელი კარები და ბრონეკაფსულის შიგნით არსებული საცავში შესასვლელი კარები. ბრონეკაფსულაში შესასვლელ კარებს და ეკიპაჟის კაბინის მარცხენა კარებს უნდა გააჩნდეს ხელის, მექანიკური და ელექტრო ჩამკეტები, რაც უზრუნველყოფს მათი შემთხვევითი გაღების თავიდან აცილებას. ყველა კარები დაცული უნდა იყოს წყლის და აირების შეღწევისაგან.

## კონდენციონერი:

ბრონეკაფსულაში უნდა დამონტაჟდეს დამატებითი კონდენციონერი.

## საბურავები:

მანქანა უნდა აღიჭურვოს HUTCHINSON-ის ფირმის მიერ დამზადებული გაძლიერებული საბურავების ხუთი (5) კომპლექტებით. ორი საბურავი მონტაჟდება წინა ხიდზე, ორი უკანა ხიდზე და ერთი სათადარიგო. საბურავის კომპლექტში უნდა შედიოდეს Runflat - ის შუასადები და დისკი. აღნიშნულმა საბურავებმა დაზიანების შემთხვევაში უნდა უზრუნველყონ მანქანის 50 კმ/სთ სიჩქარით გადაადგილება 50 კმ მანძილზე.

## ინსტრუმენტები და საზომი ხელსაწყოები:

გამოიყენება საბაზო მანქანის საშტატო საზომი ხელსაწყოები. საზომი ხელსაწყოები განათებულია და იკითხება მეტრულ სისტემაში. ისინი დაცული არიან მტვრისა და სინესტისაგან. ყველა წარწერა ინგლისურ ენაზეა შესრულებული.

## ელექტროსისტემა

მანქანაში უნდა განთავსდეს საბაზო მანქანის ანალოგიური ზომებისა და ტევადობის მქონე 12 ვოლტიანი აკუმულატორი რომელიც არ საჭიროებს ტექმომსახურებას და გააჩნია ცივი გაშვების დენის ოდენობა არანაკლებ 780CCA.

## საექსპლუატაციო დოკუმენტაცია

საექსპლუატაციო და ტექნიკური მომსახურეობის სახელმძღვანელო. სათადარიგო ნაწილების კატალოგის მომზადება.

## შეღებვა

მანქანის გარე და შიდა კონსტრუქციები მუშავდება შემდეგნაირად:

- **მომზადება**
  სილაჭავლური მეთოდით მეორადი ხენჯების, ჟანგიანი ლაქების და უცხო ნივთიერებების მოცილება.
- **პირველი ფენის დადება**
  ლითონის ზედაპირები მუშავდება გრუნტის ფენის დადებით.
- **საბოლოო ფენის დადება**
  ზედაპირების საბოლოო დამუშავება მოხდება საღებავის ორი ფენის დადებით.

შემსყიდველი:

შპს ,,დელტა ინტერნეიშენალ"

საიდენტიფიკაციო კოდი № 401960614

დირექტორი

_____ ოთარ ჩიტეიშვილი

მიმწოდებელი:

სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"

საიდენტიფიკაციო კოდი №202297335

გენერალური დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებელი

_____ უჩა ძოძუაშვილი


1. Driver door
2. Two sided windows
3. Side door for entering the vehicle
4. Sliding door for driver cabin
5. Safe door
6. Firing ports
7. View armored glass
8. Two sides shelves
9. Hatch for emergency
10. Conditioner
11. Intercom communication
12. Seats
13. Video camera (with capability to store at least 2 days recording)
14. Monitor
15. Cover mesh for windshield
16. Front bumper
17. Rear bumper
A-A
B
C
G-G